



## „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი პრობლემები სამსხე-ჯაჟახეთში



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების წევრებმა ახალციხესა და ადიგენში 40-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს. ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები მოქალაქეთა იდენტიფიცირებულ საჭიროებებს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში მაქსიმალურად გაითვალისწინებენ.

ადიგენში მცხოვრები აქტიური მოქალაქეები წელს ჩვენს სამოქალაქო საბჭოებს პირველად შემოუერთდნენ.

სოფლების დიდ ნაწილში პრობლემურია შიდა საუბნო გზების, სანიაღვრე არხების არსებული მდგომარეობა, გარეგანათებისა და სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების გაუმართაობა, ახალციხესთან დამაკავშირებელ გზაზე კლდოვანი მასიდან ქვათა ცვენა და ა.შ. ქალაქის ნაწილში კი ქვეითა გადასასვლელები და ტროტუარებია გასაახლებელი, ზოგან კი მოსაწყობი; დასანიშნია მუნიციპალური ტრანსპორტი ქალაქის რამდენიმე უბანში, ბევრგან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელია დასამონტაჟებელი.

სამოქალაქო საბჭოები „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომელთა მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

მიმდინარე წელს სამცხე-ჯავახეთის სამოქალაქო საბჭოების მუშაობაში სიახლე ის იყო, რომ ადიგენისა და ახალციხის რამდენიმე სოფლის მოსახლეობას შევხვდით იქ არსებული პრობლემების მოკვლევისა და ადვოკატირების მიზნით.

2019 წელს კი ჩვენი საბჭოების ინიციატივით, ახალციხის მერიას მუნიციპალიტეტის 13 დასახლებაში არსებული 30-ზე მეტი პრობლემის მოგვარების მოთხოვნით მივმართეთ. მერიამ მიმდინარე წელს 13 მათგანის მოგვარების გადამწყვეტილება მიიღო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ სამცხე-ჯავახეთში სამოქალაქო საბჭოების მიმდინარე წლის საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარუდგენს. ამ დროისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ ახალციხესა და ადიგენში ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ჩვენი საბჭოების მიერ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა მომდევნო წლის ბიუჯეტის განხილვის დროს მაქსიმალურად გაითვალისწინონ. ამ მიზნით წარმოგიდგენთ მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემების ჩამონათვალს ზემოაღნიშნულ ორ მუნიციპალიტეტში:

ახალციხე	
<b>ქალაქი ახალციხე</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> ბალინაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგება და გარე განათების მოწყობა გამსახურდიას ქუჩაზე (ახალ დასახლებაში) გარე განათების მოწყობა ახალციხის ტბასთან სასმელი წყლის შადრევნის გაკეთება და ტბის გარშემო სარბენი ბილიკის განახლება
<b>სოფელი კლდე</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> წყლის სათავე ნაგებობებისა და ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია
<b>სოფელი წმინდი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სპორტული მოედნების მოწყობა
<b>სოფელი წყონი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა/რეაბილიტაცია
<b>სოფელი მუსი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სარწყავი და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია
<b>სოფელი ხყაძანა</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> საკანალიზაციო სისტემის მოწყობა სოფლის ცენტრში ავარიული შენობის დემონტაჟი და სტადიონის მოწყობა
<b>სოფელი სპირი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> გარე განათების გაკეთება წყლის სათავე ნაგებობისა და ძირითადი მაგისტრალის რეაბილიტაცია სტადიონის მოწყობა
<b>სოფელი მინაძე</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სოფელთან დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა
<b>სოფელი ანი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> წყლის სათავე ნაგებობისა და ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია
<b>სოფელი უჩაველი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> ცენტრალურ გზაზე ლოდების ცვენის შემაკავებელი კონსტრუქციის მოწყობა გზისა და სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია
<b>სოფელი საყუნათი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სანიაღვრე არხების მოწყობა
<b>სოფელი სხვილისი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ ტროტუარის მოწყობა
<b>სოფელი აწყური</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სარწყავი სისტემის გამანაწილებლის მოწყობა ე.წ. ზედუბანში თისელისა და აწყურის დამაკავშირებელი გზის შეკეთება ცენტრალურ მაგისტრალზე მოსაცდელის მოწყობა აწყურის ისტორიულ, ასევე ახალ ხიდზე გარე განათების მოწყობა
<b>ქალაქი ვაღა</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> შიდა გზებისა და მთავარ გზასთან დამაკავშირებელი გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია
ადიგენის მუნიციპალიტეტი	
<b>ადიგენი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> ცენტრალური გზიდან სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
<b>ჩორჩანი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სოფლისთვის ინდივიდუალური წყლის შემკრების მოწყობა ხელოვნური სარწყავი საგუბარის რეაბილიტაცია
<b>სეაღა</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია
<b>სოფელი ადიგენი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სარწყავი სისტემის მოწყობა
<b>მობარო</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> „ოქროს ციხემდე“ მისასვლელი სამკილომეტრიანი გზის მოასფალტება სასმელი წყლის წყაროების მოძიება, დებეტის გაზრდა და ქსელის რეაბილიტაცია შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა
<b>ზანაძი</b>	<b>მოსახლეობის მოთხოვნა</b> სარწყავი სისტემის მოწყობა შიდა გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა